

MS Access-ის ძირითადი ფუნქციების გაცნობა; არსებული მონაცემთა ბაზის გაცნობა და ედიტირება

გახსენით მონაცემთა ბაზა “Company” Ms Access-ში

1. რამდენი ცხრილია ამ მონაცემთა ბაზაში?
2. რამდენი ჩანაწერია ცხრილში “Employee” ; რამდენი ატრიბუტი აქვს ცხრილ “Department” –ს? (გაეცანით ყველა ცხრილს ამ მონაცემთა ბაზაში)
3. გაეცანით მონაცემთა ტიპებს (= domains), ამისათვის გახსენით ცხრილები ”Design mode”-ის გამოყენებით
4. რა არის “DNAME”-ის და “BDATE”-ის მონაცემთა ტიპები? (გაეცანით სხვა ველების მონაცემთა ტიპებს)
5. რა არის “Salary” – ის მონაცემთა ტიპი? როგორ არის შესაძლებელი რომ მონაცემებში შეიძლება ჩაიწეროს პრეფიქსი “\$”?

ახალი ცხრილის დამატება არსებულ მონაცემთა ბაზაში

“Tables tab” ---- “New” –ს მეშვეობით შექმენით ცხრილი “DEPT_LOCATIONS”, განსაზღვრეთ მისი ატრიბუტები (“DNUMBER”; “DLOCATION”) და შეიყვანეთ ჩანაწერები:

DNUMBER	DLOCATION
1	Houston
4	Stafford
5	Bellaire
5	Sugarland
5	Houston

განსაზღვრეთ “primary key” (DNUMBER –ის და DLOCATION”-ს კომბინაცია); ამისათვის გახსენით ცხრილი “DEPT_LOCATIONS” “Design mode”-ის საშუალებით, მონიშნეთ ორივე ატრიბუტი და გამოიყენეთ “primary key”- ის ბრძანება.

შეამოწმეთ ამ ატრიბუტების მონაცემთა ტიპები, გაითვალისწინეთ რომ “DNUMBER”-ს უნდა ქონდეს იგივე მონაცემთა ტიპი და ფორმატი როგორც აქვს “DNUMBER”-ს ცხრილში “DEPARTMENT” –ი. (რატომ უნდა ქონდეთ მათ ერთნაირი მონაცემთა ტიპები?)

დახურეთ “Design” ფანჯარა და გახსენით “relationships”.
რა არის საგულისხმო ცხრილების ურთერთკავშირთან დაკავშირებით?
როგორ ფიქრობთ რომელ ცხრილთან უნდა დააკავშიროთ ახალი
ცხრილი? რომელი ველების საშუალებით?
დააკავშირეთ ეს ორი ცხილი ერთმანეთთან.